თვითდამაზიანებელი და სუიციდური ქცევის შემთხვევების მართვა სკოლაში

ელზა ლომოური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეონა გოცირიძე, სოციალური მუშაობის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

სარჩევი

აბსტრაქტი **4**

Abstract 6

ტერმინთა განმარტება 8

1. შესავალი **10**

2. ლიტერატურის მიმოხილვა **13**

2.1. თვითდამაზიანებელი და სუიციდური ქცევის კონცეპტუალური განსაზღვრა 13

2.2. თვითდამაზიანებელი და სუიციდური ქცევების გავრცელება და აქტუალობა 15

2.3. თვითდამაზიანებელი და სუიციდური ქცევის რისკ და დამცავი ფაქტორები 17

2.4. სკოლის როლი პრევენციასა და შემთხვევის მართვაში 19

2.5. კრიზისის მართვა სკოლაში 21

2.6. სკოლაში ჩართული სპეციალისტების როლი 23

2.7 . სკოლის სოციალური მუშაობის ეთიკური პრინციპები 29

2.8. საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა 31

2.9. კვლევითი სიცარიელე და მოცემული კვლევის საჭიროება 37

3. თეორიული ჩარჩო **38**

3.1. ეკოლოგიური სისტემების თეორია: შემთხვევის მართვის მრავალდონიანი ხედვა 39

3.2. თვითდამაზიანებელი ქცევის ფუნქციური მოდელი 41

3.3. ინტერპერსონალური სუიციდის თეორია 42

3.4 კრიზისული ინტერვენციის მიდგომა: შემთხვევის მართვა როგორც ორგანიზებული პროცესი 43

3.5. თეორიული ჩარჩოს გამოყენება კვლევის ანალიზში 45

4. კვლევის მიზანი და ამოცანები **46**

5. კვლევის მეთოდოლოგია **47**

5.1. კვლევის მეთოდი 47

5.2 კვლევის სამიზნე ჯგუფი 48

5.3. შერჩევის ტიპი 48

5.4. კვლევის პროცედურები და მონაცემთა შეგროვება 49

5.5. მონაცემთა ანალიზი 51

5.6. კვლევის ეთიკური საკითხები 52

5.7 კვლევის შეზღუდვა 53

6. კვლევის შედეგები **53**

6.1. სოციალური მუშაკის როლი სკოლაში თვითდამაზიანებელი და სუიციდური რისკის შემთხვევების მართვის პროცესში 54

6.2. თვითდამაზიანებელი ქცევისა და სუიციდური რისკის პრაქტიკული გააზრება.... 56
6.3. რისკის ამოცნობის ნიშნები და ინფორმაციის მიღების წყაროები..... 58
6.4. რისკის შეფასების ინსტრუმენტები და პრაქტიკაში გამოყენებული მიდგომები 60
6.5. პირველადი რეაგირება და ინტერვენციული ნაბიჯები..... 61
6.6. ოჯახთან თანამშრომლობა და მშობლის რეაქცია 63
6.7. სკოლასთან, მანდატურთან და გარე სერვისებთან კოორდინაცია..... 65
6.8. კონფიდენციალურობა და უსაფრთხოების ბალანსი..... 66
6.9. პროფესიული, ინსტიტუციური და სისტემური გამოწვევები..... 67
6.10. დამცავი ფაქტორები და რესპონდენტების რეკომენდაციები..... 69
7. კვლევის შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია.....70
დასკვნა.....76
გამოყენებული ლიტერატურა.....80

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი ეხება სკოლაში თვითდამაზიანებელი და სუიციდური ქცევის შემთხვევების მართვის საკითხს. მოზარდობის პერიოდი დაკავშირებულია მნიშვნელოვან ბიოლოგიურ, ემოციურ, კოგნიტურ და სოციალურ ცვლილებებთან, რის გამოც ამ ასაკში ფსიქოემოციური სირთულეების დროული ამოცნობა და შესაბამისი მხარდაჭერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. თვითდამაზიანებელი ქცევა და სუიციდური რისკი წარმოადგენს კომპლექსურ და მრავალფაქტორულ მოვლენებს, რომელთა მართვაც მხოლოდ ინდივიდუალური მდგომარეობის შეფასებით არ შემოიფარგლება და მოითხოვს ოჯახური, სასკოლო, სოციალური და ინსტიტუციური გარემოებების გათვალისწინებას.

კვლევის მიზანია სკოლებში დასაქმებული სოციალური მუშაკების პრაქტიკის შესწავლა თვითდამაზიანებელი ქცევისა და სუიციდური რისკის პრევენციისა და მართვის პროცესში, მათ მიერ გამოყენებული ინტერვენციული მიდგომების გაანალიზება და არსებული პროფესიული, ინსტიტუციური და სისტემური გამოწვევების გამოვლენა. კვლევა ფოკუსირებულია იმაზე, როგორ აღწერენ სოციალური მუშაკები საკუთარ როლს, რა პრაქტიკებს იყენებენ რისკის იდენტიფიცირების, შეფასების, რეაგირების, რეფერირებისა და შემდგომი მხარდაჭერის პროცესში და რა სირთულეებს აწყდებიან შემთხვევის მართვისას.

კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდით. მონაცემთა შეგროვების მიზნით ჩატარდა ინდივიდუალური ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები სკოლაში დასაქმებულ 10 სოციალურ მუშაკთან, რომლებსაც ჰქონდათ თვითდამაზიანებელი ქცევის ან სუიციდური რისკის შემთხვევებთან

მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. მონაწილეთა შერჩევისას გამოყენებული იქნა მიზნობრივი შერჩევა მოხერხებული შერჩევის ელემენტებით, ხოლო მიღებული მონაცემები გაანალიზდა თემატური ანალიზის მეთოდით. კვლევის პროცესში დაცული იყო მონაწილეთა ნებაყოფლობითობის, ინფორმირებული თანხმობის, კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის პრინციპები.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლის სოციალური მუშაკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რისკის ადრეულ ამოცნობაში, მოსწავლის საჭიროებების შეფასებაში, ოჯახთან კომუნიკაციაში, სკოლის შიდა პროფესიონალებთან თანამშრომლობასა და საჭიროების შემთხვევაში გარე სერვისებზე გადამისამართებაში. ამასთან, გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა: ერთიანი და სტრუქტურირებული პროტოკოლის ნაკლებობა, სუიციდური რისკის შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტების არასაკმარისი გამოყენება, სკოლის პერსონალის არათანაბარი ინფორმირებულობა, მულტიდისციპლინური თანამშრომლობის სირთულეები, ოჯახთან მუშაობის გამოწვევები და სოციალური მუშაკების პროფესიული მხარდაჭერის საჭიროება.

ნაშრომში მიღებული მიგნებები მიუთითებს, რომ სკოლაში თვითდამაზიანებელი და სუიციდური რისკის შემთხვევების ეფექტიანი მართვა საჭიროებს სისტემურ, კოორდინირებულ და სტანდარტიზებულ მიდგომას. რეკომენდაციების სახით გამოიკვეთა სკოლებში რეაგირების ერთიანი პროტოკოლის შემუშავება, რისკის შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტების დანერგვა, სკოლის პერსონალის გადამზადება, შიდა მულტიდისციპლინური თანამშრომლობის გაძლიერება, სოციალური მუშაკებისთვის რეგულარული სუპერვიზიისა და პროფესიული მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ასევე ოჯახთან თანამშრომლობის გაუმჯობესება.

Abstract

This master's thesis examines the management of self-harming behavior and suicidal risk cases in schools. Adolescence is associated with significant biological, emotional, cognitive, and social changes, which makes the timely identification of psycho-emotional difficulties and the provision of appropriate support particularly important. Self-harming behavior and suicidal risk are complex and multifactorial phenomena. Their management cannot be limited to the assessment of an individual student's condition alone; rather, it requires consideration of family, school, social, and institutional factors.

The aim of the study is to explore the practice of school social workers in the prevention and management of self-harming behavior and suicidal risk, to analyze the intervention approaches they use, and to identify existing professional, institutional, and systemic challenges. The study focuses on how school social workers describe their role, what practices they apply in the process of risk identification, assessment, response, referral, and follow-up support, and what difficulties they encounter while managing such cases.

The study was conducted using a qualitative research method. Data were collected through individual semi-structured interviews with 10 school social workers who had practical experience working with cases of self-harming behavior or suicidal risk. Participants were selected through purposive sampling, and the collected data were analyzed using thematic analysis. Throughout the research process, the principles of voluntary participation, informed consent, confidentiality, and anonymity were maintained.

The findings revealed that school social workers play an important role in the early identification of risk, assessment of students' needs, communication with families, collaboration with school-based professionals, and referral to external services when necessary. At the same time, several important challenges were identified, including the lack of a unified and structured response protocol, insufficient use of standardized suicide risk assessment tools, uneven awareness among school staff, difficulties in multidisciplinary collaboration, challenges in working with families, and the need for professional support for social workers.

The findings of the thesis indicate that effective management of self-harming behavior and suicidal risk cases in schools requires a systemic, coordinated, and standardized approach. The study recommends developing a unified school-based response protocol, introducing standardized risk assessment tools, providing systematic training for school staff, strengthening internal multidisciplinary collaboration, ensuring regular supervision and professional support for social workers, and improving cooperation with families.